

შპს “განათლების განვითარების ჯგუფი”

კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-16


შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული ფინანსური
მდგომარეობის უწყისი (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	3 649 988	1 937 936	1 073 588
ბიოლოგიური აქტივები		7 074	7 074	5 849
არამატერიალური აქტივები		7 481	4 930	6 588
გაცემული სესხები	9	0	0	0
		3 664 543	1 949 940	1 086 025
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	2 185 633	1 597 051	873 320
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	417 991	345 895	164 091
მარაგები	6	54 464	59 975	65 183
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		6 794	6 794	6 794
		2 664 882	2 009 715	1 109 389
მთლიანი აქტივები		6 329 425	3 959 655	2 195 413
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3 112 296	1 073 026	343 745
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2 605 172	2 523 575	1 392 216
სხვა რეზერვები		4 400	4 400	4 400
		5 721 868	3 601 001	1 740 361
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		0	0	0
		0	0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები		145 670	145 670	145 670
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	447 931	188 606	301 176
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები		13 956	24 377	8 206
გადასახდელი დივიდენდი		0	0	0
		607 557	358 654	455 052
მთლიანი ვალდებულებები		607 557	358 654	455 052
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6 329 425	3 959 655	2 195 413

ხელმოწერილი პირები:


თეონა ოდიკურაშვილი - ფინ. დირექტორი


გიორგი მელაძე - დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის
ანგარიშგება (ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები	11	5 922 548	6 453 376
თვითღირებულება	12	(214 937)	(172 214)
საერთო მოგება		5 707 610,71	6 281 161,74
სხვა შემოსავლები		-	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(5 690 971)	(5 205 713)
მიწოდების დანახარჯები		-	-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-	-
სხვა ხარჯები		-	-
საოპერაციო მოგება		16 640	1 075 448
ფინანსური შემოსავალი		82 646	76 027
ფინანსური ხარჯი		(17 146)	(20 116)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		65 500	55 911
მოგება დაბეგვრამდე		82 140	1 131 359
მოგების გადასახადი		(543)	-
წმინდა მოგება		81 597	1 131 359
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების			
გადაფასებიდან,		-	-
გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		81 597	1 131 359

ხელმოწერილი პირები:

თეონა ოძელაშვილი - ფინ. დირექტორი

გიორგი მელაძე - დირექტორი


30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო


შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	343 745	4 400	1 392 216	1 740 361
წმინდა მოგება	-	-	1 131 359	1 131 359
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 131 359	1 131 359
კაპიტალის ცვლილება დარიცხული დივიდენდი	-	-	729 281	729 281
	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	343 745	4 400	3 252 856	3 601 001
წმინდა მოგება	-	-	81 597	81 597
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	81 597	81 597
კაპიტალის ცვლილება დარიცხული დივიდენდი	-	-	2 039 270	2 039 270
	-	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	343 745	4 400	5 373 723	5 721 868

ხელმოწერილი პირები:


თეონა ოშელაშვილი - ფინ. დირექტორი


გიორგი მელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2020
თბილისი, საქართველო

შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "განათლების განვითარების ჯგუფი" (შემდგომში „მშობელი კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა 2012 წლის 10 აპრილს.

კომპანიის მფლობელთა სია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

გიორგი მელაძე - 25%

სს სსფანდ ინვესტმენტ - 75%

მშობელი კომპანიის მენეჯმენტი წარმოდგენილია მისი დირექტორისა და პარტნიორის გიორგი მელაძის სახით.

მშობელი კომპანია ფლობს შპს ნიუტონის თავისუფალი სკოლის (შემდგომში „შვილობილი კომპანია“) 100% წილს, რომლის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა.

მშობელი კომპანია, შვილობილ კომპანიასთან ერთად, ქვემოთ მოიხსენიება, როგორც „ჯგუფი“.

მშობელი კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, 40.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო/ლარი	3.2095	3.0701

1. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ჯგუფი არ წარადგენს ფულის მოძრაობის ანგარიშგებას.

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები, ანუ საწარმოები, რომლებიც კომპანიის მიერ კონტროლდება, კონსოლიდირებულია. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანია იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, კომპანია აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ ამჟამინდელი უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ცვლადი უკუგება ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან;
- მას შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების დასადასტურებლად და როდესაც კომპანია ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, კომპანია ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:
- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებას/გარიგებებს;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებულ უფლებებს;
- კომპანიის ხმის უფლებებს და პოტენციურ ხმის უფლებებს. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულია კომპანიისთვის კონტროლის გადაცემის დღიდან და კონსოლიდირებული აღარ არის კონტროლის შეწყვეტის დღიდან. შიდაჯგუფური გარიგებები, ნაშთები და არარეალიზებული შემოსულობა ამ გარიგებებიდან, ასევე ზარალი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ასახავს გადაცემული აქტივის გაუფასურებას, კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენის მიზნით სრულად გაქვითულია. საჭიროების შემთხვევაში, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა იცვლება, კომპანიის პოლიტიკასთან შესაბამისობის მიზნით. შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა კონტროლის შეცვლის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, ის წყვეტს შვილობილი კომპანიის აქტივების (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებების, ასევე არასაკონტროლო პაკეტის საბალანსო ღირებულების აღიარებას და აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას, ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას და დეფიციტს ან მეტობას მოგებაში და ზარალში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
სხვა	3

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არასაფინანსო აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება ე.წ. FIFO მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება

აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი

საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს განათლების განვითარების ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
<i>ისტორიული ღირებულება</i>							
2018 წლის 1 იანვარი	500 000	120 182	-	666 468	-	70 890	1 357 540
შემოსვლა	-	822 925	-	84 393	-	8 938	916 256
გასვლა	-	-	-	(128)	-	-	(128)
2018 წლის 31 დეკემბერი	500 000	943 107	-	750 732	-	79 829	2 273 668
შემოსვლა	-	1 571 452	-	172 951	-	23 804	1 768 207
გასვლა	-	-	-	(128)	-	-	(128)
2019 წლის 31 დეკემბერი	500 000	2 514 559	-	923 555	-	103 633	4 041 746
<i>დაგროვილი ცვთა</i>							
2018 წლის 1 იანვარი	-	-	-	(265 241)	-	(18 710)	(283 952)
ცვთის ხარჯი	-	-	-	(47 025)	-	(4 755)	(51 780)
გასვლა	-	-	-	(312 266)	-	(23 466)	(335 732)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	(51 172)	-	(4 854)	(56 026)
ცვთის ხარჯი	-	-	-	(363 438)	-	(28 320)	(391 758)
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-		-		
<i>საბალანსო ღირებულება</i>							
2018 წლის 1 იანვარი	500 000	120 182	-	401 227	-	52 180	1 073 589
2018 წლის 31 დეკემბერი	500 000	943 107	-	438 466	-	56 363	1 937 936
2019 წლის 31 დეკემბერი	500 000	2 514 559	-	560 117	-	75 313	3 649 989

6. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31.დეკ.19	31-დეკ-18
ნედლეული და მასალები		
საქონელი	38 936	17 576
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	155 28	42 399
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	54 464	59 975

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.დეკ.19	31-დეკ-18
სავაჭრო მოთხოვნები	154 032	330 501
გაცემული ავანსები	263 958	15 395
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	417 991	345 895

8. ფული და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31.დეკ.19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	2 185	1 593
	633	505
თანხა სალაროში	-	3
		546
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2 185 633	1 597 051

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.დეკ.19	31-დეკ-2018
სავაჭრო ვალდებულებები	447 931	188 607
სახელოფასო ვალდებულებები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულება	447 931	188 607

10. ამონაგები

შემოსავალი	2019	2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	236 116	194 353
მომსახურების გაწევიდან და სხვა	5686431	6259023
სულ შემოსავალი	5 922 547	6 453 376

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	2019	2018
ხელფასები	3 155 461	2 784 405
იჯარის ხარჯი	1 214 178	1 212 408
კომუნალური ხარჯები	159 482	148 056
სხვა ხარჯები	1 161 850	1 060 845
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5 690 971	5 205 714

12. არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება საპროცენტო შემოსავლისა და ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისგან.

13. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

14. პირობები და ვალდებულებები

ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ეჭვქვეშ იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორც წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პოტენციური საგადასახადო ვალდებულების არარსებობა არ დაფიქსირებულია.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კორონა ვირუსის სწრაფმა გავრცელებამ, რომელიც პანდემიად იქნა გამოცხადებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოიწვია მნიშვნელოვანი არამდგრადობა, რომელიც გავლენას ახდენს გლობალურ ბიზნესსა და ეკონომიკურ საქმიანობაზე. იზრდება ალბათობა, რომ პანდემიისას განვითარებულმა მოვლენებმა და მისი შეკავების ღონისძიებებმა დიდი გავლენა იქონიოს ეკონომიკაზე და შესაძლოა გამოიწვიოს გლობალური რეცესია. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას და ინფექციის გავრცელების შესაძლო გავლენას კომპანიის საქმიანობაზე, კერძოდ, ბიზნეს მოდელზე, მომსახურებისა და საქონლის მიწოდებაზე, მომხმარებლებსა და სამუშაო კაპიტალზე, თუმცა ხელმძღვანელობის შეფასებით, ზემოხსენებული ნეგატიური ფაქტორი არ შეუშლის ხელს კომპანიას საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.